

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”  
აღმასრულებელი საბჭოს  
სხდომა**

10 მაისი, 2010

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:**

ქ.თბილისი, ბარნოვის ქ №75

სხდომის დაწყების დრო 19:00

**სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები:**

ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ნოდარ ფეიქრიშვილი, ცისმარი ონიანი, ქეთევან ბექაური, იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე, ბესო აბაშიძე, იმედა დვალიძე.

**დღის წესრიგი:**

1. ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცება.
2. საწევრო გადასახადის შეღავათებთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა;
3. საკურატორო მიმართულებების პროექტების დამტკიცება.
4. თავმჯდომარის ინიციატივით, საწევროგადაუხდელ პირთა მიმართ ორი თვით ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელება;
5. ასოციაციაში გასაწევრიანებელი პირთა განცხადებების განხილვა და წევრად მიღება;
6. მიმდინარე საკითხები:

**გ ა დ ა წ ყ დ ა:**

1. დამტკიცდეს ასოციაციის აპარატის შემადგენლობა საშტატო განრიგში შემდეგი ცვლილებების გათვალისწინებით:

გაერთიანდეს აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორის და აღმასრულებელი საბჭოს მიმართულებათა კოორდინატორის შტატები და განისაზღვროს ერთი საშტატო ერთეულის თანამდებობრივი სარგო;

გაერთიანდეს ლოჯისტიკის მენეჯერის და კურიერის შტატები და განისაზღვროს ერთი საშტატო ერთეულის თანამდებობრივი სარგო;

განისაზღვროს ერთი მდივან-რეფერენტის შტატი და შესაბამისი თანამდებობრივი სარგო;

გაიმიჯნოს პიარ-მენეჯერის და IT-მენეჯერის შტატები და განისაზღვროს შესაბამისი თანამდებობრივი სარგოები;

დამტკიცდეს ეთიკის კომისიის კოორდინატორის ორი შტატი და განისაზღვროს შესაბამისი თანამდებობრივი სარგოები;

2010 წლის 1 ივლისიდან ასოციაციის აპარატში შტატების რაოდენობა განისაზღვროს 12 საშტატო ერთეულით.

ასოციაციის აპარატის საშტატო განრიგი:

- აღმასრულებელი მდივანი, 1 შტატი;
- აღმასრულებელი საბჭოს და საბჭოს მიმართულებათა კოორდინატორი, 1 შტატი
- სასწავლო ცენტრის უფროსი, ერთი შტატი;
- ბუღალტერი, ერთი შტატი;
- სასწავლო ცენტრის კოორდინატორი, 1 შტატი;
- ეთიკის კომისიის კოორდინატორი, 2 შტატი;
- PR-მენეჯერი, 1 შტატი;
- მდივან-რეფერენტი, 1 შტატი;
- ლოჯისტიკის მენეჯერი, 1 შტატი;
- IT-მენეჯერი, 1 შტატი;
- დამლაგებელი, 1 შტატი.

2. დაევალოს ასოციაციის თავმჯდომარეს საკონკურსო კომისიის წესის და საკონკურსო კომისიის შემადგენლობის პროექტის წარმოდგენა საბჭოს შემდგომ სხდომაზე დასამტკიცებლად;

3. საბჭოს წევრების მოთხოვნით, საწევრო გადასახადის შეღავათების შესახებ საკითხის განხილვა გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე; დაევალოს აღმასრულებელ მდივანს და აღმასრულებელი საბჭოს კოორდინატორს კანონმდებლობის ანალიზის წარმოდგენა გადასაწყვეტ საკითხთან დაკავშირებით- თუ რამდენადაა შესაძლებელი ადვოკატისთვის შეღავათების დაწესება.

4. ასოციაციის 2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცების საკითხი გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე, აღნიშნულ სხდომაზე წარმოდგენილი ფინანსური მოცემულობის გათვალისწინებით;

5. საწევროგადაუხდელ პირთა მიმართ ადმინისტრაციული წარმოების საკითხის განხილვა გადაიდოს 19 მაისამდე;
6. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას გასაწევრიანებელი პირების საბუთები ნაირა სამსონიძის (ნასამართლობის გამო) და თორნიკე ხარებაშვილის გარდა (ერთწლიანი სავალდებულო შრომითი გამოცდილების არქონის გამო);
7. საკურატორო მიმართულებების პროექტების დამტკიცება გადაიდოს საბჭოს შემდგომ სხდომაზე; საკურატორო მიმართულებების პროექტები დაიდოს ასოციაციის ვებ-გვერდზე და განთავსდეს ინფორმაცია ასოციაციის წევრების მხრიდან მოსაზრებების მოწოდების შესახებ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებით მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.
8. ადვოკატთა საკვალიფიკაციო ტესტირების ჩატარების წესის მე-2 მუხლის, მე-5 პუნქტის თანახმად, განცხადებები ტესტირებაში რეგისტრაციის დაგვიანებით გავლის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

**ზაზა ხატიაშვილი**

**ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის” თავმჯდომარე**

